მწყემსი



მე ვარ ჭეშმარიტი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვარნათვის. (იოან. 10—11).

გვოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ეძრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 6 1883—1896 30 მარტი.

აღდგომა ქრისტესი.

ქრისტიანეთა ყველა დღესასწაულები აღავსებენ ჩვენს გულს ზეციურ სიხარულით, მაგრამ ყველა დღესასწაულებზე ძომეტებულად მორწმუნეთა სულსა და გულს ასსხეოსრებს სასიხარულო ამბავი ქრისტეს აღდგომისა. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ სიკვდილის მიღების შემდეგ კაცობრიული ბუნებით მიიღო ზეციური დიდება, რომელიც, როგორც ღმერთს, ჰქონდა მას ქვეყნის შექმნამდე და დღეს ყოველ მორწმუნეს ანიჭებს უზომო, წარმოუდგენელს და დაუშრეტელს სიხარულს ისეთი წუაროიდგან, რომელიც ყველასათვის აღბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი იესო უიმედობით და ხრწნილებით. დღეს იესო ქრისტეს საფლავიდგან საგლებით გამომდინარეობენ ტალღები, რომელნიც აღავსებენ მორწმუნეთა სულსა და გულს საუკუნო ცხოვრების სიტკბოებით—საუკუნო ნეტარების წინ-და-წინ გრძნობით. თავისი მკვდრეთით აღდგომით იესო ქრისტემ მიიღო მთავრობა როგორც სილულ ისე უსილავ ქვეყანასა ზედა და ქვეყანაზე დაამკვიდრა სასუფეველი თვისი, ასე რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას“. სოლო ამით უფალმა ჩვენმა მთელს კაცთა ნათესავს მიანიჭა სისარული. იესო ქრისტე იმისთვის იშვა, მოკვდა და აღსდგა, რათა ნეტარ ეყო ეგელანი და უგელანი მიეწოდებია სასუფეველსა თვისსა. რა არის სასუფეველი ქრისტესი? მისი სასუფეველის კანონები არიან კანონები სიეგარულისა და მოწყალებისა. მასში არ არის არცა ბირფერობა და არცა სერსი, ვინაიდგან მეუფე ზეცისა და ქვეყანისა თავისი სასუფეველის თითოეულს მიმკვიდრეს მიმადლებს იმდენ ნეტარებას, რისი დატევაც შეუძლია მისს სულს და გულს და თითოეულს, მიიღებს რაიგი მისდამი წილხდომილ მადლს, არ ეშურება სხვისი ნეტარება, ვინაიდგან ქრისტეს ჯუშმარიტნი აღმსარებელნი შეერთებულ არიან ერთმანეთ შორის სიეგარულით და მცხოვრის სულიერ ღვთაებრივ სასუფეველში არ არის „ურია, არცა წარმართ, არცა მონა, არცა აზნაურობა, არამედ ეოველად ეოველსა შინა არს ქრისტე“. კაცთ მოეგარე მეუფე არავის არ უარ ჰყოფს, ვინც კი მიეალს მისდამი, არამედ სიუსვით აჯილდოებს თითოეული მორწმუნე კაცის გულს-მოდგინებას მსგავსად იოსებ არიმათიელისა და სიეგარულობით მიითვლის კეთილ სუნნელებას მენელსაცხებელ დედათა. მხოლოდ უნდა მივმართოთ მაცხოვარს, და ჩვენი მწუხარება სისარულათ შეიცვლება, ჩვენი მწუხარების ცრემლთა სამაგიეროდ თვალ-წინ წარმოგვიდგება დაუსრულებელი ნეტარება; რაც უნდა სამინელი უბედურებით ვიეოთ მეჰერობილი, სული მაინც ეიესება ზეციური სისარულით და ეოველივე ჩვენი ნაკლებობა სავსებით დაჯილდოვდება ქრისტეს ღვთაებრივი მადლის დაუშრეტელი ნიჭით. ამიტომ ვისაც ჩვენგანს ნივთიერი მდგომარეობა, მზგავსად იოსებ არიმათიელისა, ნებას ამლევს, იგი ვალდებულია ეს სიმდიდრე ისმაროს ღვთის სახელის სადიდებლად, და მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეც აღიარებს მასს წინაშე ზეციერი მამისა. თუ ვინმე ჩვენგანი იმოდენად ღარიბია, რომ თავისი ქონებით არ მალუმს ემსახუროს ქრისტეს, ნუ იწუხებს, არამედ უმეტესად ისარებდეს, ვინაიდგან ვუწეით, რომ თვით ქრისტე ღარიბულად სცხოვრებდა ქვეყანაზე. კიდეც რომ არ გაგაჩნდეს არაეითარი თავშესაფარი, მაშინაც კი ისარებდე, ვინაიდგან გესმის, რომ აღსდგა ქრისტე, რომელსაც ამა ქვეყანაზე არ აქვნდა თავშესაფარი და აღსდგა მკვდრეთით, რათა განუმზადოს ცათაშინა სამეოფელი მის მორწმუნეთა! ამ სახით და ისარებს ქრისტეს ეკკლესიის ჯუშმარიტი აღმსარებელი, როგორც საუკუნო და შეურეველი სასუფეველის მემკვიდრე; და ისარებდენ ჯუშმარიტნი მიმბაძველნი ქრისტესნი, როგორც თანა მოზიარენი დაუშრეტელი მისი დიდებისა! უნდა ისარებდენ ისინიც, რომელნიც შეჰერობილ არიან ცოდვებით, ვინაიდგან ქრისტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსდგა ჩვენი განმართლებისათვის: ნუ გვაშინებს ნურცა უბედურებანი და ნურცა სიკვდილი, ვინაიდგან ქრისტეს საფლავისაგან გაღმომდინარეობს წყარო საუკუნო ცხოვრებისა; განთავისუფლებულ იქმნა გზა, რომელიც მიავლენს ყოველ ჯეშმარიტ ქრისტიანეს ღვთაებრივი სასუფევლის ტახტისადმი; აღდგნენ ბჭენი სამოთხისანი; განსნილია გზა ზეციური სასუფეველისადმი: ქრისტე აღსდგა, სისარული საუკუნო!

ჰედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის საყურადღებოდ.

არითმეტიკა, ანუ ანგარიში, მისი მნიშვნელობა პირველ დასაწყისს სკოლებში, ზომები ანგარიშის შესწავლისათვის-ამიცანების ახსნა.

პირველ დასაწყისს სკოლებში ერთ ფრიად საჭირო და სასარგებლო საგნად ითვლება ელემენტარული არითმეტიკის ანუ ანგარიშის რიგიანად სწავლება. ამ საგანს მიზნად აქვს შეასწავლოს ბავშვს თვლა, შეგნებულად მოქმედებათა წარმოება ყოველგვარ რიცხვებზედ, როგორც ზეპირად, ისე წერითაც, კითხვების გამოცნობა და ამიცანების გაკეთება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ცხოვრებაში. თვითონ ეს საგანი არითმეტიკა, ანუ ანგარიში ხალხის მიერ გამოგონილი საუნჯეა, ცხოვრებასთან ბრძოლა ხალხს ბევრს რასმე ასწავლის; ერთი ამ სწავლათაგანი არითმეტიკაა, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული ხალხის შეგნებასთან. ყველა ხალხს თავისებური არითმეტიკა აქვს. ჩვენში უხსოვარ დროიდგან იცოდენ მიწის მუშაობა და ათას გვარი ხელობა; ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენ ქართველებსაც ჩვენი არითმეტიკა გვექნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში არითმეტიკას ქართულად არ ასწავლიან. სხვა ხალხის სკოლებში არითმეტიკის შესახებ აუარბელი სახელმძღვანელოები არსებობს, ჩვენში კი დედანაზედ არც მეთოდიურად შემუშავებული არითმეტიკა არსებობს და არც ასწავლიან ამ საგანს ქართულად.

თავდაპირველად, რასაკვირველია, არითმეტიკა უფრო მარტივი იყო, ვიდრე დღეს. ცხოვრებასთან ბრძოლამ, ხალხის ურთი ერთ შორის დამოკიდებულებამ, ვაჭრობასა და მრეწველობის თანდათანმა აღორძინებამ, არითმეტიკა განავითარა, შეავსო. ბოლოს უფრო ვრცელდება და ღვივდება ეს საგანი. არითმეტიკის ნაწილები: ოთხი მოქმედება, მარტივი და ათეული ნაწევრები, პროპორციები, პროცენტები და თამასუქის წესები, ამხანაგობის წესი და სხ. ცხოვრებამ შექმნა. მეცნიერებამ ყველა ეს წესები შეასწორა, შეავსო და შესასწავლად გაადვილა.

ცნობები, რომელიც შეიძინება ანგარიშის სწავლებით, საჭიროა არა მარტო პრაქტიკულ ცხოვრებაში, ცხოვრების ყოველ დღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ საჭიროა ბავშვების ჭკუა-გონების შეგნების განვითარებისათვისაც. ბავშვს, როცა იგი ანგარიშს, არითმეტიკულ მოქმედებათ სწავლობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, თვითონ გამოჰყავს შემუშავებულ მასალისაგან საჭირო დასკვნა; თვითონ ადგენს იგი კანონებს არითმეტიკული მოქმედებისას, აკეთებს არითმეტიკულ ამიცანებს, ავარჯიშებს მეტყველების ნიჭიერებას აზროვნების კანონების დაცვით იმ გზის გამოძებნაში, რომელიც აპოვნინებს პასუხს ამიცანის უმთავრეს საკითხზე და მისთვის საჭირო მოქმედებათა წარმოებაზე.

რადგანაც ანგარიშს, როგორც სასწავლო საგანს პირველ დასაწყისს სკოლებში დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ საგნის შეგნებულად და გონივრულად სწავლებასაც უნდა მიეკაცეს შესაფერისი ყურადღება. ჩვენს ღარიბს საპედაგოგიო მწერლობაში ვერაკ ამის შესახებ იპოვით რასმე საგულისხმოს. ამიტომ, ძალაუნებურად, დროთა ვითარებისა გამო, იძულებული ვართ მივსდიოთ რუსულს პედაგოგიურ მწერლობას. იქ ანგარიშის სწავლების შესახებ პირველ დასაწყისს სკოლებში ორ ნაირი აზრი ტრიალებს. ზოგი პედაგოგები ამტკიცებენ, რომ ელემენტარული არითმეტიკის შესწავლას სკოლებში საფუძვლად უნდა ჰქონდეს **რიცხვების ოკეკ მხრივ შესწავლა ასმდის** (ევტუშევსკი) და შემდეგ მოქმედებათა შესწავლა. სხვებს კი ეს აზრი სრულიად უსარგებლოთ მიაჩნიათ და ურჩევენ ასწავლონ ბავშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირ მოქმედებათა წარმოება ამიცანების რიცხვებზე, ყურადღება მიაქციონ უფრო **„მიზნის შესრულებისა“** გაკეთებას და არა რიცხვთა მაგალითებს (შოხორ-ტროიკი და გოლდერბერგი). როგორც თეორიული მოსაზრებანი, აგრეთვე გამოცდილებაც სრულს უპირატესობას აძლევს შოხორ-ტროიკისა და გოლდენბერგის მიერ შემოღებულ წესებს, როგორც ანგარიშის სწავლების დროს მიზანს უფრო პირდაპირ ეღწევა. ვისაც ევტუშევსკის სახელმძღვანელოთი უსწავლებია ანგარიში, უსათუოდ შენიშნავდა, რომ **რიცხვის შესწავლა**, იმ რიგად, როგორც ევტუშევსკი ურჩევს მასწავლებლებს, წარმოადგენს ბავშვებისათვის ერთ ფეროვანს და მოსაწყენ სამუშაოს, რომელსაც ბავშვი უნდება მთელი ორი წელიწადი,—მოქმედებათა შესასწავლად კი რჩება მცირე დრო. რიცხვების ერთმანეთთან შედარება, მათი კომბინაცია სრულდება სრულიად მექანიკურად და ამიტომ ამიცანების გაკეთების დროს ამ ნაირ სავარჯიშოებს არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, რადგანაც შეუძლებელია ბავშის მეხსიერებამ დაიტიოს ყველა კომბინაციები სხვა-და-სხვა რიცხვებზედ ასამდის. ამასთან ევტუშევსკის სახელმძღვანელოები არის დაფუძნებული ძველს ფსიხოლოგიურ კანონებზედ, როგორც ნათლად უჩვენა თვითონ შოხორ-ტროიკიმ და ამიტომ ახლანდელს დროში ევტუშევსკის წიგნები თან-და-თან უკვე გამოდის ხმარებიდამ რუსულ სკოლებში და მისს ადგილს იქერს გოლდენბერგი, ლუბენეკი და სხ. პირველ დასაწყისი სამ წლიანი სკოლების პროგრამმა არითმეტიკაში უნდა იყოს გაყოფილი ამ ნაირად: ა) ანგარიში, თვლა ათამდის, ოთხი მოქმედება ათამდის, მოქმედება ათეულებზე ზეპირი და წერით ანგარიში და ოთხი მოქმედება ასამდის. ბ) ზეპირად და წერით ანგარიში — ოთხი მოქმედება ყველა სიდიდის განყენებულ რიცხვებზე და გ) ოთხი მოქმედება რთულ სახელწოდებულ რიცხვებზე. ამ ნაირი პროგრამმა არის დამტკიცებული უწმინდესის სინოდისაგან და შემოღებული რუსეთის ყველა სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებში. ამ გვარი პროგრამმითი უნდა ხელმძღვანელობდენ ჩვენებური სამრევლო სკოლის მასწავლებლებიც, მხოლოთ იმ განსხვავებით რომ სავარჯიშოები და ამიცანები ადგილობრივ ცხოვრებიდგან უნდა იყოს აღებული, ადგილობრივ ნიადაგზე დამყარებული, ხალხის თავისებურობასთან შეთვისებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ზომებს და საწყაოებს, რომელსაც ხალხი ხმარობს ადგილობრივ და შემდეგ თავის მეზობლის უცხო ხალხის საწყაოებსაც გაიცნობს. აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ დასაწყისს სკოლებში მასწავლებლები უფრო ხშირად ყურადღებას აქცევენ და ასწავლიან მოწაფეებს მარტო წერით ანგარიშს, მაშინ როდესაც ბავშის გონებისა და მოსაზრების გამოსაფხიზლებლად და ცხოვრებაში უფრო გამოსაყენებლად დიდათ საჭიროა ზეპირი ანგარიში, რომელსაც ითხოვს უფრო შემოკლებულს და სწრაფს საშუალებას; ამიტომ წერით ანგარიშთან ერთად აუცილებელად მასწავლებელმა უნდა იქონიოს სახეში ზეპირად ანგარიშის სწავლება.

დიდ ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე წინ და წინ მოუფიქრებელი კითხვები, რომელსაც მიმართავენ ხოლმე გამოუცდელი მასწავლებლები არითმეტიკული ამიცანების ახსნის დროს. როცა ამიცანის შინაარსს გაიგებენ მოწაფეები — მასწავლებელი ხშირად ამისთანა კითხვებს აძლევს მათ. რა უნდა ვქნათ, რომ გავაკეთოთ ეს ამიცანა. ამ კითხვაზე შესაფერისს პასუხს მასწავლებელი ი'შვიათად მიიღებს. წინად, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული სწავლებაში ახალი წესები და მეთოდები, არითმეტიკის მასწავლებლები დაუნიშნავდენ მოწაფეებს თავის თავად გასაკეთებლად ხუთ-ექვსს ამიცანას; თავი უნდა ემტვრიათ და გაეკეთებინათ კიდეც.

ამიცანების იმ ნაირ გაკეთებით, როგორც ეხლა აკეთებენ ზოგიერთ სკოლებში, არ შეიძლება მიზნის მიღწევა. ზოგიერთ სკოლებში, მართალია, ამიცანებს აკეთებენ, მაგრამ მოწაფეები კი არა — თვითონ მასწავლებელი. ბავშები რომ თავიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებლად ამიცანების გაკეთებას, საჭიროა საზოგადო ხერხი, საზოგადო კითხვების დადგენა ყველა ამიცანებისათვის. აქ მოვიყვან ორს მაგალითს იმ კითხვებისას, რომლითაც შეუძლიან მასწავლებელს ისარგებლოს ყველა ამიცანებისათვის. მასწავლებელი ეტყვის მოწაფეებს ამიცანას, გაამეორებინებს ჯერ კარგს მოწაფეებს და შემდეგ სუსტს მოწაფეს და როცა კარგათ შეიგნებენ ამიცანის შინაარს, მასწავლებელი მიაქცევს მოწაფეთა ყურადღებას იმ რიცხვებზე, რომელიც ცნობილია ამიცანაში და შემდეგ იმ პედაგოგიურს წესის დაცვით, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს **კაცდა ცრობიდან შენობაზეკ,** მოწაფეები ასახელებენ უცნობ რიცხვებს, რომელიც საჭიროა ამიცანის უმთავრესი საკითხის გამოსაცნობლათ. მაგალითად ავიღოთ შემდეგი ამიცანა: **ასმაა ბავშვა ოცდა 30 ღერი თეფდაი სანთელი, ერთმა მისცა ამ ასხედელში 2 კაპ. მეორემ—3 კაპ და მესამემ—5 კ. რამდენი სანთელი შეხვდება თითოს?** ამ ამიცანის შინაარსის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ჰკითხავს მოწაფეებს - დამისახელეთ რა და რა რიცხვებია ამ ამიცანაში?—ამ გამოცანაში არის შემდეგი რიცხვები! რამდენი ბავში იყო (3), რამდენი ცალი სამთელი იყიდა სამიგემ (30) და რამდენი კაპეიკი მისცა პირველმა (2), მეორემ (3) და მესამემ (5 კ).—აბა ეხლა დამისახელეთ რა და რა რიცხვებია უცნობი ამ ამიცანაში? —ჩვენ არ ვიცით, როგორ უყიდიათ მთლად 30 ღერი სანთელი, რამდენი ღერი სანთელი უყიდიათ კ.და რამდენი რგებია თითო ბავშს?—როგორ გავიგოთ, რა მიუციათ 30 ღერ სანთელში? 2კ.+3კ.+5კ.=10კაპ.—როგორ გამოვიცნოთ კაპიკათ რამდენი ღერი სანთელი უყიდიათ?—30:10=3 სანთ.—ეხლა როგორ გავიგოთ, თითოს რამდენი შეხვდებოდა?—პირველი წაიღებდა: 3 სამ.×2=6 სამ: მეორე: 3+3=9 სამ; მესამე 3+5=15 სამთ.—აბა ეხლა გაიმეორეთ სულ როგორ გავაკეთეთ ეს ამიცანა? (იმეორებს რომელიმე სუსტი მოწაფეთგანი) შემდეგ მასწავლებელი მისცემს მოწაფეებს ამ გვარ ამიცანებს მხოლოდ სხვა რიცხვებით, რადგანაც მსჯელობა ერთი და იგივე უნდა ერთ ნაირ ამიცანებს, ამიტომ მოწაფეებიც მალე დახელოვნდებიან და ადვილად გაიგებენ საზოგადო გზას ამიცანის გასაკეთებლად.

მეორე ნაირად ამ ამიცანის ახსნა შეიძლება ასე: მასწავლებლის კითხვებზე მოწაფეები იძლევიან შემდეგ პასუხს. (შემოკლებისათვის აქ მოგვეყავს მარტო პასუხი): ამ ამიცანაში გამოსაცნობია რამდენი სანთელი ერგო თითო ბავშს. ამ რიცხვის ერთი მოქმედებით გამოცნობა შეიძლება მაშინ, როდესაც ვიცით: ა) რამდენი სანთელი უყიდიათ 1 კაპეიკათ და ბ) თითო ბავშს რამდენი კაპეიკი მიუცია. მეორე რიცხვი ვიცით (ერთმა მისცა 2 კ. მეორემ 3 კ. და მესამემ 5 კ.) ერთის მოქმედებით რომ გამოვიანგარიშოთ კაპეიკათ რამდენი სანთელი უყიდიათ, ამისათვის უნდა ვიცოდეთ: ა) მთლად რამდენი სანთელი უყიდიათ და ბ) რამდენი ფული დაუხარჯავთ სულ ყველას. პირველი ამ რიცხვთაგანი ვიცით (30), მეორეს გამოსაცნობად უნდა ვიცოდეთ თითო ბავშმა რამდენი ფული დახარჯა. გამოცანაში ეს რიცხვებიც ცნობილია. ამ გვარ მსჯელობას ჰქვიან ამიცანის **ანალიზი,** რომელიც იწყება ყველა ამიცანის უმთავრეს საკითხით და თავდება ამიცანის ცნობილ რიცხვებით. ამის შემდეგ იწყება **სინთეზი,** ცნობილ რიცხვებიდგან და თან-და-თან მიდის ამიცანის უმთავრეს საკითხავამდის ამ ნაირათ: თითო ბავშს რამდენი ფული მიუცია სანთლის საყიდლად. ეს რიცხვები გვინდოდა მისთვის, რომ ერთის მოქმედებით გაგვეგო სამივე ბავშს ერთად რამდენი ფული მიუციათ 30 ღერ სანთელში; ამისათვის 2კ.+3კ.+5=10 კაპ.; 30 ცალი სამთელი და 10 კაპ. გვინდოდა მისთვის, რომ ერთის მოქმედებით გაგვეგო კაპეიკათ რამდენი სამთელი უყიდიათ; ამისათვის 30 სამთ. : 10 ¦ 3 სამ. მიტომ რომ თუ 10 კ. იყიდეს 30 სამთ. კაპეიკათ იყიდდენ 10 ჯერ ნაკლებს. კაპეიკათ რამდენი სანთელი იყიდეს და თითო ბავშმა რამდენი ფული მისცა, ის რიცხვები გვინდოდა მისთვის, რომ ერთი მოქმედებით გაგვეგო თითო ბავშს რამდენი სანთელი ერგო. თუ კი კაპიკათ 3 სამთელი იყიდეს მაშასადამე პირველი წაიღებდა 3 სანთ. ×2 ¦ 6 სანთ.—მეორე 3 სამ.×3=9 სან. და მესამე—3სან.×5=15 სანთელს. ეს სხ. ამ უკანასკნელ წესს სწავლებისას ის უპირატესობა აქვს პირველის წინაშე, რომ ამ შემთხვევაში ყველა კითხვებზედ მოიითხოვება მხოლოდ ერთი პასუხი, ბავში კანონიერი კითხვების შემწეობით აკეთებს მხოლოდ იმას, რაც საჭიროა და თან-და-თან ლოღიკურის კანონების დაცვით უახლოვდება ამიცანის უმთავრესი საკითხის გამოცნობას; მაგრამ ეს წესი თხოულობს ბავშებისაგან განყენებულ აზროვნებას, მსჯელობას, რომელიც მათთვის თავდაპირველად ძნელია, ამიტომ ამ მეორე წესით არიფმეტიკული ამიცანების სწავლება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბავშებს ცოტათ თუ ბევრათ გონება გაეხსნებათ. როცა ბავშები კარგათ შეიგნებენ რიგს კითხვებისას და პასუხისას, იმათ მერე თვითონ შეუძლიათ მისცენ თავის კითხვებიც და პასუხიც; ასე რომ ყველა ამიცანის ახსნას თვითონ შეიძლებენ მასწავლებლის დაუხმარებლად, დამოუკიდებლად,

თუ კი, რასაკვირველია, ამიცანა არ აღემატება მოწაფეთა გონებრივ ძალას.

მეშველად არითმეტიკის სწავლების დროს, განსაკუთრებით ტერმინების მხრით, ჩვენებური სკოლების მასწავლებლებს შეუძლიათ იხმარონ ᲛᲐ. ᲨᲐ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ მიერ შედგენილი სრული ქართული არითმეტიკა და ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ არითმეტიკული ამიცანების კრებული.

ლ. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ.

ზოგიერთი ცნობები აბისინიის შესახებ.

აფრიკის ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚ ადგილებში, ნუბიის სამხრეთით, მდებარეობს აბისინია ანუ გაბეში. ეს ქვეყანა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, სადაც ბლომად მოიშოვება კაი საბალახო და სათეს-სახნავი მიწები. ზოგიერთი მთები ისეთი მაღალები და მიუვალნი არიან, რომ მათზე მუდამ თოვლი სდევს. აქ მრავალი პატარა შავი მდინარეებია, რომელთაც დრმა ღელეებში აქვთ დაქნილი გზა. ჭაერი ძლიერ სხვა-და-სხვა ფერია. მაღალობ ადგილებზე ჭაერ ძლიერ ცივია, ხოლო ზდვის პირად—ცხელი.

აბისინიის მკვიდრნი (რიცხვით ᲜᲐ მილიონზე მეტი) არაბების ნათესავნი არიან და შავი-მუქი-მოწითალო ფერის კანი აქვსთ.

აბისინიელნი აღიარებენ ქრისტეს სარწმუნოებას, რომელიც მათ ძველ დროშივე აქვსთ მიღებული. აბისინიაში გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება ალექსანდრიის ეკლესიიდგან, რომელიც დაარსა მახარებელმა მარკოზმა. ხოლო ქრისტიანობა მტკიცე ნიადაგზე დამყარდა აბისინიაში მეოთხე საუკუნის დასაწყისში ფრუმენტის მოღვაწეობით, რომელიც შთამომავლობით ტირელი იო. ღვთის განგებით ქრისტიანე უმაწვილი ფრუმენტი ტუვეთ იქმნა წაუვანილი აბისინიის მეფისაგან. იგი დიდხანს დარჩა აბისინიაში, სადაც უყვარული და პატივის ცემა მოიშოვა. ბოლოს ისეთი შესაძჩნევი ადგილი დაიკავა, რომ ფრუმენტის ჩაბარეს აბისინიის ტახტის მემკვიდრის აღზრდა. კეთილ მორწმუნე ფრუმენტი და მისი ნათესავი ედესი, რომელიც აგრეთვე ტუვეთ იყო აბისინიაში, ერთად ცდილობდენ, რომ კერპთაყვანის მცემელ აბისინიელთა შორის გავრცელებიათ ქრისტეს სარწმუნოება. მრავალი წლის ტუვეობაში მეფეობის შემდეგ ფრუმენტი განთავისუფლდა და დაბრუნდა თავისს სამშობლოში. იგი პირდაპირ ალექსანდრიაში წავიდა დიდ პატიანსეულთან და ურჩია მას, რომ აბისინიაში გაეგზავნათ ეპისკოპოსი და კრებული ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებლად. დიდმა პატიანსემ თვითონ ფრუმენტისვე სთხოვა მეედო ეპისკოპოსობა, რადგან მაზე უკეთესი პატიანსეს არავინ ეგულებოდა. ფრუმენტი დაეთანხმა პატიანსეს, მიიდო ეპისკოპოსობა და წავიდა აბ-ისინიის პირველ ქალაქ ავისუეში. ფრუმენტმ იმდენი იშრომა და იღვაწა აბისინიაში ქრისტეს სარწმუნოების დაფუძნებისა და გამტკიცებისათვის, რომ მას სამართლიანად ეწოდა ინდოელი ანუ ეთიოფელი მოციქული.

ამ სახით აბისინიამ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება ალექსანდრიის ეკლესიისაგან და მტკიცე ნიადაგზე დამყარდა წმ. პატიანსე ალექსანდრიელისაგან.

იტალიელები ძველი რომაელების მსგავსად ამ ბოლო დროს ძლიერ ცდილობენ გაპატრონოვონ თავიანთ სამფლობელოთა საზღვრები, რომ ამით გზა გაუკვალონ თავისი ქვეყნის წარმოებს. ამ მიზნით იტალიელებმა განიზრახეს თავისი ახალ შენის დაარსება აფრიკაში. მართლაც მათ თავისი სამამრი ნარადის ძალით დაიკავეს აბისინიის სახელმწიფოთის ზოგიერთი ნაწილები, სადაც ააგეს თავიანთი ციხეები. მაგრამ ეს არ იკმარეს იტალიელებმა, მათ მოინდომეს, რომ ნელ-ნელა მთელი აბისინია დაეკავებიათ. მაგრამ აბისინიელთ, რომელთაც მრავალი საუკუნის განმავლობაში დაიცვეს თავისუფლება, ენლიკ თავი ისახელეს და დაუმტკიცეს იტალიელებს, რომ იგინი ღირსეულნი შვილნი არიან თავიანთი თავისუფალი სამშობლოსი. წარსული თებერვლის დამლევს აბისინიელთ მოუსდთ ჩხუბი იტალიელებთან. აბისინიელებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად დაამარცხეს იტალიელების შეიარაღებული ჯარი და ამ ჯარის მრავალი მხედრები დაატყვევეს. იტალიელების ჯარმა დაჭკარგა ხეთი ათას კაცამდე. როცა ეს ამბავი შეიტყვეს იტალიაში, მთელი ეს ქვეყანა შავებში ჩაჯდა, ავნებზე და სახლებზე გამოკიდეს სამგლოვიარო დროშები; იტალიის მრავალ ქალაქებში იკრიბებიან ქალები და დაჯინებით ითხოვენ, რომ იტალიელები გამოვიდნენ აბისინიიდგან.

გადასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამისა ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში.

(დასასრული *)

ნაშუადღევის მეექვსე საათზე ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გვამი ჩასვენეს აკალდამაში არქიმანდრიტმა ამბროსიმ, დეკანოზებმა გ. ცაგარეიშვილმა, დ. ლამბაშიძემ და ადგილობითი მონასტრის კრებულმა. აკალდამა გამზადებული იყო მონასტრის უმთავრეს ტაძარში მარჯვენა მხარეზე. თვით აკალდამა სიმაღლით და სიგანით ორი არშინია და თაღი აქვს გადაკეთილი. აკალდამაში ჩასასვლელად დასავლეთის მხრით კიბე იყო გაკეთებული. აკალდამის დაკრძალვა მეორე დღისათვის გადაიდვა, რადგან ამ დღეს მრავალი ხალხი იყო, რომელსაც სურდა უკანასკნელად ეამბორა თავისი საყვარელი მწყემსმთავრისათვის. მათი მადალ ყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოსი ვლადიმერი, ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, სამღვდელოება და ხალხი ნაშუადღევის 8 საათზე დაბრუნდენ ქუთაისში. აქედან ღამის მატარებლით საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი წაბრძანდა თბილისში. მათი მადალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიაცილეს რკინის გზის სადგურამდე ყოვლად სამღვდელოთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ, ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა, დეკანოზებმა გ. ცაგარეიშვილმა, რ. გიგაურავმა, დ. დამბაშიძემ და ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანმა ერ. თუთბერიძემ.

მოგვეცა სიტყვები, წარმოთქმულნი ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, თ. დ. ნიკორაძის და ბახველი გლეხისაგან.

სიტყვა ეპისკოპოსის გრიგოლისა

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელოს შენ“.

ლამპარო საქართველოს ეკკლესიისაო, დიდება ქართველთაო, მოძღვარო ოქროპირო გაბრიელ!

ერთი ოდენ მოვალეობა თანა სამსახურის მღვდელთ-მთავრის და სამეზობლო ეპარხიის უფროსისა, მაბედვინებს მე მივიღო ჩემს თავზედ საშიში პატივი ლაპარაკის იმ კათედრიდან, რომელიც განაშვენე შენ ოც-და-თუთხმეტის წლის შენის მოკიქულებრივის ქადაგებითა და მსახურებითა. შენს სამშობლო ქვეყანას, შენგან სულით და გულით საყვარელს საქართველოს, სამწუხაროდ შენდა და ჩვენდა, ჯერ კიდევ შორს აქვს ის დრო, როდესაც იმას ექმნება ძალა გაიგონოს ყოველს წამს ამ შენგან დაობლებულ კათედრიდან ხმა მეორე გაბრიელისა.

გარნა, მოძღვარო ჩემო, მე არა ქადაგებასა და არა მოძღვრებასა ვბედავ დღეს ამა კათედრიდან წინაშე საფლავისა შენისა, მე მხოლოდ ამა კათედრიდან მინდა თაყვანი გცე უკანასკნელის მადლობით შენის წმინდა სამსახურისათვის.

პირველსა მადლობასა მოგიძღვნი შენ, ღირსეულო მწყემსთ.მთავარო, საეკკლესიო მსახურთაგან არა მხოლოდ იმერეთისა, არამედ გურია-სამეგრელოს, აფხაზეთისა და ლეჩხუმ-სვანეთისა. შენ ხარ პირველი მღვდელთ-მთავარი ქართველთა, აღჭურვილი მაღალის სწავლითა და მეცნიერებითა, რომელმანცა ამ ძველს ჩვენს სამღვდელოებას. დროთაგან დაჩაგრულს, შთაბერე, სული ახალი და მიეც აწინდელი ძალი სამოქალაქო ცხოვრებისა; შენ დაუტევე მას ძველი ცხოვრებიდან და საეკკლესიო წესი-

(*) იხ. „მწყემსი“ № 5, 1896 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ის, რაიცა ღირს იყო ცხოვრებისა. ვითარცა მემკვიდრეობა ღირსთა მამათა, საქართველოს ძველთა საშღვდელო მსახურთა და აღმოკვეთე იმის ცხოვრებიდან ყოველივე, რაიცა შედგენდა ღვაძლსა უსარგებლოსა. შენი უკანასკნელი ფიქრი ეკუთვნოდა ამ სამღვდელოებას და მისს კეთილდღეობას. თვალითა, ცრემლით აღსავსით ვიხილე მე წიგნი, მიწერილი შენ მიერ მთავრობისადმი იმისს წინად, სანამ შენ შეგიპყრობდა საშინელი სენი. ამ წიგნში სთხოვდი შენ, არა სთხოვდი. ცოტაა, ამ წიგნში ემუდარებოდი შენ მთავრობას, რომ მას უზრუნველ ეყო სამღვდელოება იმერეთის მომეტებულის საშუალებით სახელმწიფო ხაზინიდან, რომ ამ გვარად დაგეგვირგვინებია შენ შენი მათდამი მსახურება. ოხ მწყემსთ-მთავარო, სამღვდელოებასა ჩვენსა შენ არა ნივთიერისა მხოლოდ შეწევნითა დაადგი თავზედ გვირგვინი და დღეს ეს სამღვდელოება სვანეთის მწვერვალიდან დაწყებული აფხაზეთის შორეულს სამრეკლო ეკკლესიამდე მხურვალედ ილოცავს შენის სულის განსვენებისათვის და ამბობს: საუკუნოდ იყავნ ხსენება ჩვენის ძვირფასის გაბრიელისა.

მეორე მადლობა გშვენის შენ, მოძღვარო, სამწყსოსაგან. რამდენი სუტი საოწმუნოება განამტკიცე შენ, რამდენ, რამდენ ურწმუნოს განუნათლე გზა დამასკელისა, რამდენი ცრუ მორწმუნეობა აღმოფხვრა უვიცის ხალხის გულიდგან შენმან წინასწარმეტყველურმან სიტყვამ! რა ზნეობითი ნაკლულევანება დარჩა შენს სამწყსოში, რომელიც არა განგემსჭვალოს შენ მახვილის სიტყვითა? რა ღირსება იყო, რომელიც არა გექოს და არ გესწავებიოს ხალხისათვის? შენ უთხარ ჩვენთა დედათა, რომ გესწავებია მათთვის შრომის მოყვარეობა, ეს დაუვიწყარი სიტყვები მე მითხრესო, რომ სადღაც ერთ შორეულს ეკკლესიაში არის დახატული ღვთის-მშობელი, რომელსაც თითისტარი უჭირავს ხელში და მუშაობსო, ნეტავი ჩემის ბედნიერის თვალებით მენახა ეს ღვთაებრივი სურათიო. თითქმის ორმოცს წელს შენ იყავ უებრო მოძღვარი იმერეთისა. სამოქალაქონი და სასულიერონი სასწავლებელნი ზრდიდნენ და ზრდიან ახალთა თაობათა; შენ მეტი საქმე ქმენ, მოძღვარო, შენ ხალხი აღზარდე. გიხაროდენ!

გმადლობს შენ ერი საქართველოსი, რომელიცა განაშვენე შენ სახელითა შენითა. შენ ნაყავ სიქადღლი ქართველთა, პირველი ქართველი ამა საუკუნოისა, რომელმანცა დაანახვე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარეობას და ქადაგებას თანასწორ გვიქებენ ჩვენ ფრანგნი, გერმანელნი, ინგლისელნი, ე. ი. მთელი განათლებული ქვეყანა.

გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიცა მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა; რომლისათვისაც ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწესა, ვიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი მქადაგებელისა უარ ჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუდგგარი მეცნიერებისათვის. შენ იყავი ერთად ერთი მაღალი ხარისხის მექონი ქართველი, რომელიც გამოესარჩლე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი; შენმა წუნმა აღუფრთოვანა სული საქართველოსი და თვით მტერ-მოყვარეც დაგიმორჩილა შენ, როდესაც იგი გწერდა თავისს პასუხში „გულსა შინა შენსა არა არს ზაკვა“.

უმეტეს გმადლობს შენ ეკკლესია ივერიისა, რომლისა საეკკლესიო წიგნები მდიდარ ჰყავ შენ შენისა სიტყვითა და მოძღვრებითა. იხილეთ, ძმანო და დანო, აქა მგლოვარედ მდგომარენო, რას შეიცავს სამწიგნობრო ივერიის ეკკლესიისა, რა წიგნებსა ითხოვს სამღვდელო მსახურნი ყოველს დღიურს თვისსა მსახურებასა შინა? ესენი არიან: სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, მარხვანი, სადღესასწაულო, ჟამნი და დაკითნი, და გაბრიელის ქადაგება. ქადაგება გაბრიელისა სძევს ჩვენს ეკკლესიაში იქ, საცა ასვენია ქადაგება მოციქულთა. ამაზე ზევით არ წავა პატივი არა ქართველისა არა ხორციელის კაცისა! საუკუნო გაივლის, რომ ხმა გაბრიელისა კიდევ გაისმოდეს ეკკლესიასა შინა ივერიისა პირითა უბრალო მეფსალმუნისათა. გმადლობს შენ ჩემიცა პირადი უღირსება. ღვთის განგებას ენება მხვედროდა მე წილად ყურადღება თქვენის მეუფებისა, ოდესცა თქვენ ირჩევდით თანაშემწესა მმართველად ჭყონდიდის ეპარქიისა. მე მით ვარ ბედნიერი და მდიდარი, რომ შენი ჩემდამი განწყობილება ვერ შეარყია ვერცა დროებამ, ვერცა ბოროტთენათა ძლიერებამ; ცხოვრების ეკლიანს გზას, ნუგე-

შად და განმამხნევებელად მე დამრჩა უკანასკნელი, შენი სიტყვები: მე შენთვის უნებლიეთ ჩემდა ცბიერის შთაგონებით მაწყენინებიეს, მამაშვილობას მოგმიტევეო! (თქმული 1894 წ. 4-ს თებერვალს).

დასასრულ უკანასკნელსა მადლობასა მოგიძღვნის შენ, მოვდელთ მთავარო, ქველის მოქმედება, სიტყვით წმინდაო, საქმით წმინდაო, ცხოვრებით წმინდაო, რომელ სხვათა და სხვათა კეთილ საქმეთა შესწორე ყოველივე შენი ქონება.

ნეტარ ხარ შენ, მოძღვარო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ.

სიტყვა ჟუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ნიჟარაძისა.

მდგომნი წინაშე მცხედრისა შენისა, მცხედრისა საყვარელისა მწყემსთ-მთავრისა ჩვენისა, ვსტირთ და ჭეშმარიტად მართლიადია ტირილი ჩვენი, გხედავთ რა სასიქადულოსა მამულიშვილსა, ბრძენსა, ტკბილსა და შეუდარებელსა მოძღვარსა ჩვენსა უსულოდ მდებარესა, დღეს სამწყსო შენი მადრიელი, ქუთაისის აზნაურობა გაოს ეხვევა მცხედარსა შენსა თითქოს იმედნეული, რომ იგინი კიდევ გაიგონებენ ჩვეულებრივად შენგან წარმოთქმულს სულის დამამშვიდებელს მოძღვრებას და მიიღებენ შენის მარჯვენისაგან კურთხევას. მაგრამ, ამაოა იმედი ესე, ვინაიდგან ბაგენი შენი არიან დახშულ და მარჯვენე შენი უძრავ. ჰაი რამდენიმე წამი კიდევ და საყვარელი მოძღვარი ჩვენი მიწითა დაიფარვი და სამუდამოდ თვალთაგან ჩვენთა განეშორები, მაგრამ განეშორები ხორციელათ; ხსოვნა შენი კი არის და იქნება მარადის ჩვენს გულში. თვალთაგან ჩვენთა არც ერთს წამს არა განეშორება ნათელი შენი, რომელიც რჩება ჩვენ შორის გაუქრობლად, ბრწყინავს წინაშე ყოველთა კაცთა და უძღვის საქმეთა შენთა კეთილთა, რომელნიცა შენ უხვად დასთესე სამწყსოსა შინა შენსა განმავლობასა ოც-და-თუთხმეტის წლისა მსახურებისა შენისა, უარისმყოფელმან თავისა თვისისა, მტკიცედ მტვირთველმან ქრისტეს ჯვარისა და მძიმისა ეპისკოპოსისა ტვირთისა, სულიერთათ, ნიჭით და გარეგანის ცხოვრებით გამშვენებულმა ყველა იმ სათნოებით და ღირსებაებით, რომელიცა წმიდა მოციქულმა პავლემ ეპისტოლეთა მისთა შინა მიუწერა მისგან ხელდასმულთ ტიმოთეს და ტიტეს.

შენ აღჭურვილმან ამა საღმრთოოითა სულითა და გარეგანის ცხოვრებითა, მხნედ მძლეველმან ყოველთა ქვეყნიურთა დაბრკოლებათა, რომელნიცა არა ერთ გზის ხელს უშლიდენ ბრძნულსა მწყემსთ-მთავრულსა მიმართულებასა შენსა საქმისადმი, ეგოდენ დიდხანს მსახურე ამა ერთსა ჩინებულსა და უძველესსა სამწყსოსა. მსახურებისა და მოღვაწეობისა შენისა ნამყოფითა უფროს განამტკიცე ივერიის ეკკლესია და მას შინა ჩვეულებრივი ქართველთათვის ღვთის მსახურება სულით აღმშენებელი და გულით გამამხნევებელი ერისა.

მწყემსთ-მთავრული მოღვაწეობა შენი ეგოდენ მრავალ არიან, რომ შესაძლებელ არს მოკლეთ სიტყვით და წერილობით გამოთქმა მათი, თუ მრავალი თვალ-საჩინო საგანი არ მოწმობდენ მათ და საუკუნოებით დაუვიწყარს არ ყოფდენ მათ. მრავალნი ახლათ აღშენებულნი და მრავალნი განახლებულნი ეკკლესიანი სამწყსოსა შინა შენსა მეცადინეობით შენითა, მრავალნი სასულიერო წეს-წყობილებანი დასაცველად და ასამღერებლად ივერიის ეკკლესიისა და მართლ-მადიდებლობის სარწმუნოებისა, რომლითაც ივერია გაბრწყინვებულია ათას-ხუთას წელიწადზე მეტია, დაუცხრომელი შრომა-მეცადინეობა, სწავლა-განათლების გავრცელებისათვის სამწყსოსა შინა შენსა, ხელის აპყრობა და გამოზრდა ქვრივთა, ობოლთა და ღარიბთა და სხვა მრავალნი ქველის საქმენი შენნი, ასს-კეკცებენ, აუქშარიტებენ და უკვდავ ყოფენ ჩვენს გულში მოძღვრებასა ბენსა.

აწ უკანასკნელ მუხლ-მოდრეკით გეეკერბეთ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო, შეგვინდეგ და გვაპატიე რაოდენიცა გცოდეთ და განგარისხეთ და იქნება, როგორც კაცმან ხორციელმან გულის სიფიცხით, ანუ უმეცრებით, ოდესმე მადლიერობის წილ უმადურობა მოგიპაყარით. ეეკერე ჩვენთვის ღვთისმშობელსა დედასა, რომლის წილ-ხდომილია ივერია, რათა მოძღვრება შენი უკვდავ და ნაყოფიერ ყოფილიყოს საუკუნოებით ჩვენს შემდეგთათვისაც. ჩვენც ვეეკერებით ღმერთსა, რათა ლოცვითა და კურთხევითა შენითა მოგვეცეს ძალა და ღონე მტკიცედ დავიცვათ მოძღვრება შენი თვითეულმან ჩვენგანმან და ვითარცა მონამან კეთილ გონიერმან აღნდგი-

ნებით გარდაეცეთ იგი ჩვენთა მომავალთა. ვეფვე-
რებით წმინდათა და ღვაწლით შემოსილთა საქართ-
ველოს მოწამეთა მამულისა და სარწმუნოებისათვის
თავდადებულთა, რომლებთა წინაშე მიგელის წარ-
დგომა, მადლით შემოსილო მძღოვარო ჩვენო, რა-
თა ჩვენ და მომავალნიკა ჩვენი ვიქმნეთ მარადის
სულიერად ღირსნი შეილნი ივერიის ეკკლესისა, შენ,
მოძღვარი ჩვენი, უღირსოებითა ჩვენითა არასოდეს
არ განგამწარათ და საშინელსა მას სამსჯავროსა
შინა უშიშრად და ურცხვენლად შეგძლებოდეს წარ-
დგენა ჩვენი წინაშე უფლისა და თქმა: ჰაა მე და
ყრმანი ივერიის ეკკლესიისანი, რომელნი მომცნა
მე ღმერთმან.

სიტყვა, თქმული

ბახველი გლეხის იოსებ გორდელაძისაგან.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა სტირის და გლო-
ვობს ჩვენი ბრწყინვალე ვარსკვლავის ჩასვენე-
ბას — შენს მოშორებას; სტირის დიდი და პატარა,
სტირის თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი და
გლახაკი, მეცნიერი და უმეცარი — სტირის სულ ყვე-
ლა და მიზეზიც აქვთ ტირილისა; მაგრამ საერთო ტი-
რილში უფრო მწარე ტირილი და გლოვა გვმარ-
თებს ჩვენ, შენი სოფლის შვილებს, შენს ბახველებს
ჩვენს საწყალს სოფელს ახვედრა ღმერთმა ამ 70
წლის წინად ბედნიერება მით, რომ იგი აირჩია შენს
სამშობლო კუთხეთ. ჩვენს სოფელში გაახლე შენ
პირველად ბედნიერი და მადლიანი თვალები. პირ-
ველად შენ ჩვენი სოფლის ცას შეხედე, ამ სოფელ-
ში გაატარე პირველი დღენი შენის პატარაობისა;
აქ გაგიბრწყინდა გული პირველად ნაპერწკალ
სიმართლისა, სათნოებისა და სიყვარულისა. ამ ნაპერ-
წკალმა აქ დაიწყო პირველად ზრდა და შემდეგში
შეიქნა დიდ ბრწყინვალე ვარსკვლავად, რომელიც
გახდა მთელი ჩვენი ქვეყნის მანათობელი. მაგრამ
პირველი სხივები ამ დიდი ვარსკვლავისა მაინც ჩვენს
სოფელს მოხვდა და გაათბო იგი. პირველად აქედ-
გან დაიწყო შენი კაცთ მოყვარეობითი ზრუნვა,
საზოგადოთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და განსა-
კუთრებით შენი სოფლისათვის. ჯერ კიდევ სასწავ-
ლებელში იყავი, როდესაც დაიწყე ზრუნვა ამ ხა-
ფელზე მით, რომ გააცნე პირველად შენს ნათესა-
ვებს სწავლის სიკეთე და დღეს გურიის ვერც ერთი
სოფელი ვერ მოსთვლის იმდენ უმაღლეს-სწავლა-
დასრულებულს შვილებს, რამდენიცა გვყავს ბახვე-
ლებს შენის წყალობით საქართველოს ყოველ კუ-
თხეში. ამ პირველ შენს სიკეთეს ჩვენს სოფელზე
მოჰყვა მრავალი საზოგადო სიკეთე, რომელთა შორის აქ
დავასახელებ მხოლოდ უმთავრესს მათგანს.

ამ ოც და-ხუთი წლის წინად შენი სოფელი
იყო ერთი უნაყოფო ღარიბ სოფლთაგანი გურია-
ში. მას არც რიგიანი ეკკლესია ჰქონდა, არც სკო-
ლა და სახმარ-წყალსაც-კი თითქმის მოკლებული
იყო. დღეს კი შენის წყალობით ჩვენი სოფელი
ყოველის მხრით დაწინაურებულ სოფლად ითვლება
ჩვენში: მას აქვს შენი საკუთარი ხარჯით აგებული
ჩინებული ტაძარი, აქვს ორ-კლასიანი სასწავლებე-
ლი ვრცელი ბაღითურთ, რომელიც სამუდამოდ
უზრუნველ-ყოფილია შენის წყალობით და რომელ-
შიაც არა თუ მარტო ბახვის ახალ-თაობა იღებს
პირველ დაწყებითი სწავლასა, — მთელი გურიის სხვა-
და-სხვა სოფლის შვილებიც-კი იზრდებიან. შენისა-
ვე უხვი შეწირულებით დაარსებულია ჩვენში სასო-
ფლო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომე-
ლიც აგერ თექვსმეტი წელიწადია ხელს გვიწყობს
და თავიდგან გვაშორებს უდიერ სარგებლის გადახ-
დას; შენისავე შემწეობით მოირწყო და განაყოფი-
ერდა ჩვენი უწყალო და მწირი ადგილები. ერთის
სიტყვით, შენ იყავი, მოწყალეო ბატონო, ულევე-
ლი წყარო ჩვენი კეთილ-დღეობისა.

მაგრამ ყველა ეს წყალობა რა არის იმ ზნეო-
ბით გავლენასთან, იმ სულიერ საზრდოსთან, რო-
მელიც ჩვენ შენგან გვეძლეოდა!! შენი მობრძანება
ჩვენში ბრწყინვალე დღესასწაული იყო ჩვენთვის.
ჩვენ, შენი ბახველები, სწორედ იმ სახით წარმო-
ვიდგენთ ქვეყნად მყოფ მაცხოვარს, რა სახითაც
შენ ეხეიდავდით ჩვენ წინ მდგომარეს საქადაგებლად
გამოსულს ჩვენი ეკკლესიის გალავანში ცაცხვის ქვეშ
სახე გაბრწყინვებულს, მადლითა და სიყვარულით
სავსს; შენი ანგელოსებრივი სახე, შენი ცხოველს
მყოფელი სწავლა-დარიგება ამოუშლელად იბეჭდე-
ბოდა ამ დროს ჩვენს გულში: შენი სიტყვების მად-
ლი და სათნოება გვავოწყებდა ყოველს ქვეყნიურს

ჭირსა და ბოროტებას; შენი სიახლოვე გვითბობდა სულს, გვიპატიოსნებდა გულს, რის გამოც ყოველი უბედური, ყოველი დამწუხრებული ჩვენი სოფლისაენი შენთან მოეშურებოდა ნუგეშის მისაღებად, და ამიტომაც იყო, რომ შენ ჩვენში ერთი საათიც მოსვენებაც არ გქონდა. მუდამ გარს გეხვეოდით და ვსარგებლობდით შენის ანგელოსებრივი გულკეთილობით, შენი თავ-მდაბლობითა, შენი კაცთმოყვარეობითა! ვაი, თუ ჩვენს გარდაც სხვანიც ასე გაწუხებდენ, ჩვენო ძვირფასო ბატონო, და ამით თვითონ ჩვენ გავხთით მიზეზი ჩვენისავე უბედურებისა, თვითონ ჩვენ მოგისწრაფეთ დაუფასებელი სიცოცხლე! თუ ეს ასეა ამიტომაც დაგვსაჯა ღმერთმა ასე სასტიკათ და წაგვართვა ის ძვირფასი საუნჯე, რომლის მოხმარება ჩვენ ვერ შევიძლით, ჩვენის უმეცრებისა გამო. მაგრამ შენ ხომ, შენი საწყალი ბახველების აზრით, უკვდავი არსება იყავი და ვინ წარმოიდგენდა, რომ სიკვდილი შენ შეგეხებოდა! შენს ბახველებს დღესაც არ სჯერათ ეს საშინელი თავ-ზარ-დამცემი ამბავი, ჩვენში ვერავინ ახსენებს ერთად ამ ორს ყოვლად მოუწყობელს, ყოვლად შეუფერებელს სიტყვებს — „გაბრიელი და სიკვდილი“. ეს ორი სიტყვა არასოდეს არ მოთავსდება ერთად ჩვენს წარმოდგენილობაში. ჩვენი ბრწყინვალე გაბრიელი, ჩვენი ანგელოზი და სიკვდილი. — ეს ხომ საშინელებაა, თავ-ზარ-დამცემია, გამაქვავებელია!! ჩვენი ყოფნა და შენი არ ყოფნა, ჩვენი უშენობა საშინელია, აუტანელია! უზომოა და გამოუთქმელი ჩვენი მწუხარება, მაგრამ რამდენადაც ეს მწუხარება დიდია, იმდენად სანუგეშებელი საბუთიც ჩვენ სხვაზე მეტი მოგვეპოვება ამ საერთო უბედურებაში. ჩვენ სხვაზე მეტი ნუგეშცემული ამ შემოთხვევაში მითი ვართ, რომ შენ ხარ ჩვენი საწყალი სოფლის შვილი, ჩვენი ბატონი გაბრიელი, ჩვენი საუნჯე, ჩვენი დიდება, ჩვენ თვით ამ უბედურებაშიაც ბედნიერნი ვართ მით, რომ შენს დიდებულ უკვდავ სახელთან ჩვენი საწყალი სოფლის სახელიც უკვდავი ხდება; ამით ვიმაყებთ ჩვენ და ჩვენი მომავალი შთამომავლობა, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენზე



გელათის მონასტრის უმთავრესი ტაძარი, რომელშიაც დასაფლავდა განსვენებული იმერთის ეპისკოპოსი გაბრიელი

უფრო შეიძლებს შენს დაფასებას, ჩვენი სოფლის უკვდავო და დიდებულო შვილო.

ამათ გარდა მ?ვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს ბბ. თეოფილე ხესკიეაძემ, ნ. ტ. დადიანმა, თ. ვ. მაჩაბელმა, ივ. რატიშვილმ და სხვ., მაგრამ უველა ამ სიტყვებს ვერ ვბეჭდავთ.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ერთი შესანიშნავი ფაქტი,—სიტყვების უნვად წარმოთქმა იუბილეის დღესასწაულობის და ზოგიერთ პირთა დასაფლავების დროს? სიტყვებს ამბობენ უველა წოდების და აღსარების პირნი. მაგრამ ამაზე მკითხველებს შემდეგში მოველაპარაკებით.

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც წერა-კითხვის ცოდნა ვრცელდება ხალხში, ისე სხვა-და-სხვა საკითხავი წიგნების მოპოვების სურვილი ვრცელდება, ამისათვის განზრახვა არის დაარსონ კომიტეტი, რომელსაც ვალად დაედგინება დაბეჭდვამდე გარდახედოს სახალხო საკითხავი წიგნები, რომ ხალხის ზნეობის გამრყვნელი წიგნაკები არ გავრცელდეს ხალხში.

***

გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით ყუბანის სამფლობელოში გავრცელებულია კეთროვნება. ბევრს სოფლებში ყოფილა ეს სენი მოდებული და დიდ ზარალს აძლევს ხალხსო. ავათმყოფები ტანმრთელებთან ერთად არიან არეულნი და მთელი ოჯახი ისობა მცირეს ხანშიო. ამ სენის გაჩენის მიზეზი, გაზეთის სიტყვით, მცხოვრებლების სიღარიბე ყოფილა.

***

1867 წლამდე ძველი წესდებულება და პროგრამები სუფევდა ჩვენს აკადემიებში, სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში. 1867 წლის ახალმა წესდებულებამ მოსპო ძველი წეს-წყობილება და პროგრამები, მაგრამ არც ამ ახალ წეს-წყობილებას და პროგრამებს ადგება კარგი დღე. ამ წელში ცხარე მუშაობა არის ახალი წესდებულების და პროგრამების შესადგენად. ამ პროგრამების შედგენისათვის მუშაობენ კიევის და მოსკოვის მიტროპოლიტები. ამბობენ, რომ შემუშავებული იქნება ახალი წესდება და პროგრამები აკადემიის, სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასწავლებელთათვის, და მომავალს წელში ამ ახალი პროგრამმებით იქნება დაწყებული სწავლა. ნეტავი რას უნდა მივაწეროთ ეს ცვლილება? ნუ თუ 30 წლის შემდეგ კიდეც ვერ მიეხვდით, რა ბოლო ექნებოდა წინეთ მოწონებულ პროგრამებს.

***

ჩვენ გვწერენ, რომ კონდოლის ეკკლესიაში 10 მარტს დიდ ძალი ხალხი მოგროვილა. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაუხდიათ განსვენებული ეპისკოპოსის გაბრიელის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდისინ მღ. გ. ჭედლიძეს გრძნობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს განსვენებულის სასარგებლო მოღვაწეობის შესახებ.

***

ჩვენმა გაზეთის მკითხველებმა უწყიან, თუ რა უწესოება გამოიწვია წარსულს წელში ქ. ქუთაისში ლუკა კოსტავას სიკვდილმა, რომელიც დაბარდა ადგილობით ურიებს. ოთხი დღის განმავლობაში საბრალო ურიები თავიანთ სახლებიდგან ვერ გამოდიოდენ. მაგრამ სამხედრო გუბერნატორის გამჭრიახე მოქმედებით ხალხი დაწყნარდა და წესიერება ჩამოარდა. წესიერების შემდეგ დაიწყო გამოძიება. პოლიცია გულმოდგინეთ შეუდგა ლუკა კოსტავას სიკვდილში მონაწილე პირთა აღმოჩენას და მართლაც მნახველ პირთა ჩვენებით დაიკავეს შვიდი ებრაელი. პირველ გამოძიების დროს ეკითხა 32 მოწამეს, რომელთაც დაპატიმრებული ებრაელების სასარგებლოთ უჩვენეს.

ეს საქმე გაირჩა ქუთაისის ოლქის სამსაჯულოში 4 მარტს. ამ დღეს დიდი ხალხი მოაწყდა სამსაჯულოს. დილის 11 საათზე დაიწყეს საქმის გარჩევა. პირველად წაკითხულ იქმნა ბრალდებითი ოქმი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლის შინაარსი მოკლეთ აქვე მოგვყავს: „14 ოქტომბერს, წარსულს წელს მოწამეთის მონასტრიდან ს. მაღლაკში მოდიოდა რამდენიმე ქალი, რომელთაც თან ახლდენ გლეხნი ლუკა, ლაზარე და სარდიონა კოსტავები. როცა მათ ურიების უბანში გამოიარეს, კოსტავებმა შენიშნეს, რომ ურიების ბავშვები შემოხვეოდენ ერთ გიჟ ქრისტიან ქალს და აჯავრებდენ. კოსტავებმა მოინდომეს, რომ ურიების ბავშვები გაეფანტათ და გიჟი გაენთავისუფლებიათ, მაგრამ ყმაწვილებმა აიღეს ქვები და შეუტიეს კოსტავებს. მალე ყმაწვილებს მოზრდილი ებრაელებიც მიეშველენ. დაინახა თუ არა ლუკა კოსტავამ, რომ ამ ბრბოსთან ვერას გააწყობდა, ამოიღო სატევარი და როცა ურიები ჩამოეცალენ გზაზე,

ეოველთა ადგომასა ჰირველ ვნებისა შენისასა მოასწავებდი, ამისთვისცა მეგობარი შენი ლაზარე მკვდრეთით აღადგინე, ქრისტე ღმერთო, რომელისათვის ჩვენცა ვითარცა შვილნი ებრაელთანი შევსწირავთ შენდა ძლევისა გალობასა, რომელმან დასთრგუნე სიკვდილი, ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიქცა. მას უკან გაედევნა მთელი ბრბო ებრაელთა. ლუკა კოსტავა გაექანა მდინარე რიონისკენ იმ განზრახვით, რომ წყალში გაეცურა და თავი გადაერჩინა და კიდეც შევარდა წყალში, მაგრამ ამ დროს ურიებიც მივიდნენ წყლის პირათ და ქვები დაუშინეს საწყალს კოსტავას, რომელსაც გაუტეხეს თავი. ამ ჭრილობისა გამო ალბად ლუკა კოსტავამ გრძნობა დაკარგა, ცურვა ვეღარ შეძლო და წყალმა დაახრჩო.

სამსაჯულოში, თითქმის, ყველა მოწმეებმა ჩვენება გამოცვალეს. მოწმების კითხვა გაგრძელდა 6 მარტამდის. ამ დღეს, ღამის 12 საათზე გამოცხადებულ იქმნა განაჩენი, რომლის ძალითი ებრაელთ აბრამ თორონიშვილს, შაბათა ხანანაშვილს და დანილა ბალუაშვილს გადაუწყვიტეს თითოს ოთხი თვით დაპატიმრება, გაბრიელ ჩიკვაშვილს და დავითაშვილს სამი თვით პოლიციასთან დაპატიმრება, ხოლო დანარჩენი ორი ებრაელი გაამართლეს. ორმა პირველმა დამნაშავემ უნდა გადიხადოს კოსტავას მშობლების სასარგებლოდ ათასი მანეთი და თუ ისინი ვერ შეძლებენ ამ ფულის გადახდას, მაშინ სხვა დამნაშავებიც უნდა შეუდგენ. სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დამნაშავენი დღესაც დაპატიმრებულნი არიან.

და მოიღო წყალი და შთაასხა საბანელსა მას, და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა, და წარჰხოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა.

უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღვარმან, და თქვენცა თანა-გაძს ურთიერთთარს დაბანად ფერხთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი,

დაკით ალმაშენებლის სიმდოცველოს განსაცხებლად და წმ. დაკით და კონსტანტინეს ეკლესიისათვის მივიღეთ შორაპნის პოლიციის ბოქაულისაგან რვა მან. და ათი კაპ. ეს ფულები შემოსულია: ბესარიონ ქავთარაძისაგან — — — 1 მ.
ოქროპირ არაბიძისაგან — — 1 მ.
იოსებ ცერცვაძისაგან — — 1 მ.
ალფეზ სარდიონის ძის გაჩეჩილაძისაგან 1 მ.
ონისიმე ტყემელაშვილისაგან — 1 მ.
რაფიელ გველესიანისაგან — — 50 კ.
მაქსიმე გაჩეჩილაძისაგან — — 50 კ.
გიგო თუთბერიძისაგან— — — 50 კ.
ლუარსაბ რობაქიძისაგან — — 50 კ.
სვიმონ კაპანაძისაგან — — — 40 კ.
ვასილ კვანტალიანისაგან — — 20 კ.

ქიზიყის ბლაღოჩინის კირილე ღვთისავაროვისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი.

მამაო რედაქტორო!

გიგზავნი ჩემ მიერ შეგროვილ ფულს ჩვენის სამშობლოსათვის მარად სასარგებლო ზეპირ სიტყვაობის ფონდის გასაძლიერებლად და გთხოვთ შემომწირველთა სიაც დაბეჭდოთ მახლობელ № ში.

აი თვით სია:

ბლაღოჩინმა კირილე ღვთისავაროვმა 1 მ.
დეკანოზმა დიმიტრი ბეგიევმა — 1 მ.
მღვდელმა ვასილ ქიტაშვილმა — 1 მ.
მღვდელმა ეგნატე მენთეშაშვილმა— 1 მ.
ბოქაულმა ივანე ქიტაშვილმა — 1 მ.
მასწავლ. ანტონ ნატროევმა — 1 მ.
ეკატერინე ასათიანისამ — — 1 მ.
დიმიტრი ნადირაძემ — — 1 მ.
შალვა ჯავაშვილმა — — 1 მ.
პრაპორჩიკ ივანე გომელაუროვმა— 1 მ.
მასწავლებელმა სოლომონ უშურაშვილმა 50 კ.
სიკო მენთეშოვმა — — — 50 კ.
ილიკო მანთიაშვილმა — — — 50 კ.
ფილიქ ბაშინჯაღოვმა — — 50 კ.
სარბარე ჭელაშვილისამ — — 50 კ.
ალექსანდრე ნადირაძემ — — 40 კ.
თომა ალადოვმა — — — 40 კ.
ილარიონ ბარნაბოვმა — — — 40 კ.
მიხაკო მატიაშვილმა — — — 25 კ.
იოსებ ზალდასტანოვმა — — 20 კ.
ვანო ალავერდაშვილმა — — 30 კ.
სოლიკო ტუსაშვილმა — — — 56 კ.

და სრულიად 15 მ.

განცხადებანი.

ისყიდება

საქველმოქმედოდ

თამარ-ემეფის

და

ზოთა რუსთაველის

სახიანი

ფოსტის ქაღალდი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

ფურცელი თითო კაპეიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება **ზეპირსიტყვაობის ფონდს** და ნახევარიც მოხმარდება იაფფასიან და მუქთად დასარიგებელ **სახალხო წიგნაკების** გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიგითხონ «**კვალის**» რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდამ მიხეილ ბარამძისაგან.

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოდგაწეების სახიანი ქაღალდიც.

სახელმძღვანელონი ᲓᲐ სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საიდან და სამყოფელი სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შევეებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის ეხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაური, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უშიშროების სინოდისაგან... შინც ერთად იყიდის ოც ეთ ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურთ, ყდით 33 კაპ.

ბუნების პარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უნალოფონი (90 კაპ.). ყუდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. შინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უშიშროების სინოდისაგან.

კოკორე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მერვე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

ბუნა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსაორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც საძინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხოგელ, ანუ ჩიტულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროს და სინოდისაგან.

ბუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**ისევნან

რა ჰქმენ?** მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხაფის მიგდები საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით. მეორე გამოც. ფასი 10 კ.

პირითადი უბრალებრთობა. პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ ეკრძო ადამიანის და ძველის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებული ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმიაღრესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში: ბეკანელ-ზეკოლთან, ჭილაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში—ტულუმბარ, ოხურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სუხუმში ჭიკვანიძესთან, ყვარელში—არაბიძესთან, სიღნაღში ყორამან ჩხეიძესთან, სურამში და ხაშურში შუოლიანასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—ქიბელ ციასარაშვილთან, სოღლაღში ამბანაგოვის მაღაზიაში, ელიზავეტპოლში ძასწყალელ ბოცვაძესთან. 15—5.

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: აღდგომა ქრისტესი.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის საყურადღებოდ.—ზოგიერთი ცნობები ახალისნის შესახებ—სიტყვები, თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავებაზე, ეპისკოპოსის გრიგოლისა, თ. დავით ნიკარაძისა და ბახველი გელხის ოიხეს გორდელაძისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—შეწირულება.—განცხადებანი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою 30 Марта* 1896 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хановыхъ, на Нѣмецкой ул.